საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2596 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის ზოგიერთ განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 მარტის №684 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველო-ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის თაობაზე საინფორმაციო კამპანიის მესამე ფაზის განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოუყოს არაუმეტეს 8 845 (რვა ათას რვაას ორმოცდახუთი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა.“.

2. „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 თებერვლის №252 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საერთაშორისო საარბიტრაჟო დავებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით სახელმწიფოს წარმომადგენლობის

განხორციელების მიზნით, იურიდიული კომპანიებისგან იურიდიული მომსახურების შესყიდვის, შესაბამისი საარბიტრაჟო და სასამართლო ხარჯების, მოწმეებისა და უცხოელი ექსპერტების საარბიტრაჟო და სასამართლო პროცესში მონაწილეობის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში კომპლექსურ საქმეებზე დავების საწარმოებლად იურიდიული მომსახურების შესყიდვისა და აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებული სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით მასთან დაკავშირებული გადასახადების დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს არაუმეტეს 5 977 200 (ხუთი მილიონ ცხრაას სამოცდაჩვიდმეტი ათას ორასი) აშშ დოლარის და 554 600 (ხუთას ორმოცდათოთხმეტი ათას ექვსასი) ფუნტი სტერლინგის ეკვივალენტი ლარისა.".

3. „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 ივლისის №1393 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალური სამიტის" ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 მაისის №1201 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს არაუმეტეს 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა.".

4. „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 19 ნოემბრის №2221 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გამოუყოს არაუმეტეს 10 016 763 (ათი მილიონ თექვსმეტი ათას შვიდას სამოცდასამი) ლარისა.“.

5. „საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 აპრილის №908 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 მარტის №690 განკარგულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული და ამავე განკარგულების მე-3 პუნქტის საფუძველზე უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოს 2 994 390 (ორი მილიონ ცხრაას ოთხმოცდათოთხმეტი ათას სამას ოთხმოცდაათი) ლარი, მათ შორის:

ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის - 1 100 000 (ერთი მილიონ ასი ათასი) ლარი;

ბ) საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის - 660 000 (ექვსას სამოცი ათასი) ლარი;

გ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის - 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი;

დ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის - 200 000 (ორასი ათასი) ლარი;

ე) სსიპ - საზოგადოებრივ მაუწყებლისათვის - 534 390 (ხუთას ოცდათოთხმეტი ათას სამას ოთხმოცდაათი) ლარი.“.

6. „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 თებერვლის №270 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს მთავრობის ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ნატოსთან პარტნიორობის გაღრმავების მიზნით საკონსულტაციო მომსახურების შეძენის ხარჯების დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას გამოუყოს არაუმეტეს 260 560.0 (ორას სამოცი ათას ხუთას სამოცი) ევროს ექვივალენტი ლარისა.“.

7. „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 თებერვლის №271 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს მთავრობის ცალკეულ უწყებებსა და აშშ-ის ადმინისტრაციასთან ურთიერთობების უკეთ წარმართვისა და საქართველოში ამერიკული ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საკონსულტაციო მომსახურების შეძენის ხარჯების დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას გამოუყოს არაუმეტეს 804 600.0 (რვაას ოთხი ათას ექვსასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე